ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 14 09 2020 წ.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 12

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ

„2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 04 სექტემბრის N778305 ბრძანების 1[1] პუნქტის და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მოქმედი წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი 2020 წლის პირველ ოქტომბრამდე წარიმართოს დისტანციურ რეჟიმში, ხოლო პირველი ოქტომბრიდან სასწავლო პროცესი გაგრძელდეს არადისტანციურ რეჟიმში, უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.
2. დისტანციური სწავლება განხორციელდეს სინქრონული ონლაინ კურსების გზით, ონლაინ პლატფორმა Google meet-ის (შემდგომში - ონლაინ პლატფორმა) მეშვეობით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მიზეზით ვერ ხერხდება ონლაინ პლატფორმით სარგებლობა, სწავლება შეიძლება განხორციელდეს ალტერნატიული პლატფორმის გამოყენებით.
3. დაევალოთ უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის და ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლებს, უზრუნველყონ დისტანციური სასწავლო პროცესის კოორდინაცია.
4. იმ სტუდენტთა ხელშეწყობის მიზნით, რომლებიც ინტერნეტის ხარვეზის, შესაბამისი ტექნიკური საშუალებების უქონლობის ან სხვა ტექნიკური მიზეზით ვერ

ახერხებენ ლექცია-სემინარებში სისტემატიურად ჩართვას, ამასთან, სასწავლო პროცესის განხორციელების მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, პროცესში ჩართული პირების ინფორმირებული თანხმობით, განხორციელდეს ლექცია-სემინარების ჩაწერა და შენახვა, 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ვადით. სემესტრის დასრულებისთანავე ყველა ჩანაწერი ექვემდებარება განადგურებას, სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი კომისიის მიერ.

5. დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს:

ა) უზრუნველყოს ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრული ჩანაწერების დაცულობა და კონფიდენციალობა და ხელმისაწვდომი გახადოს თითოეული მათგანი მხოლოდ მიზნობრივი გამოყენებისათვის, შესაბამის ვიწრო პირთა წრისათვის, ამასთან, განახორციელოს მათი ნახვის ყველა შემთხვევის აღრიცხვა;

ბ) შეიმუშაოს ონლაინ პლატფორმის გამოყენების ინსტრუქცია;

გ) განახორციელოს დისტანციური სასწავლო პროცესის მონიტორინგი, ხარვეზების აღმოჩენის და აღმოფხვრის მიზნით;

დ) უზრუნველყოს უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები საჭირო კონსულტირებით, მათ შორის, ინტერნეტში ქცევის წესების და კიბერუსაფრთხოების საკითხებზე.

6. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველომ უზრუნველყოს ცხრილის შესაბამისად საკონტაქტო საათების ონლაინ რეჟიმში ჩატარების უწყვეტი მონიტორინგი და ზედამხედველობა გაუწიოს გაცდენილი საკონტაქტო საათების აღდგენას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

7. დაევალოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოს:

ა) პროცესში ჩართული პირების კონსულტირება;

ბ) სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის მიერ (ENQA) მიერ შემუშავებული ელექტრონული სწავლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენება (2018).

8. ბრძანება გასაცნობად და მათთვის განკუთვნილი ამოცანების შესასრულებლად დაეგზავნოს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს და თანამდებობის პირს.

9. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ბრძანების განთავსება.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).

რექტორი,
პროფესორი სერგო ვარდოსანიძე